ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4042429

ნომერი: AR1572581

თარიღი : 30.01.2018

გაცემის თარიღი : 06.07.2018

გაცნობის თარიღი : 09.07.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება, , I ქ. მე-2 გას. N7-ის მომიჯნავედ / ქალაქი თბილისი , დასახლება აეროდრომი , ქუჩა III , N 11 / ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება 3-ე ქ. N13 / ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება მე-3 ქ. N13ა / ქალაქი თბილისი , აეროდრომის დას. I ქუჩა 2-ე გასასვლელი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემური გაგნიაშვილი პ/ნ 01027062813
- თბილისი აეროდრომის დას. ზაქარია მხარგრძელის ქ. N 6ა

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "X-style+" კოდი: 406170361

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 30 იანვრის AR1572581 განცხადებით მომართა თემურ გაგნიაშვილმა და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის

№2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთის საკადასტრო მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2933397 ბრძანებით ქალაქ თბილისში, დასახლება აეროდრომი , ქუჩა III , N 11 / ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება 3-ე ქ. N13 / ქალაქი თბილისი , აეროდრომის დასახლება მე-3 ქ. N13ა / ქალაქი თბილისი , აეროდრომის დას. I ქუჩა 2-ე გასასვლელი N7 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ #01.19.36.002.046 (995 კვ.მ) მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 20 მაისის N2317 ბრძანებით, ქ. თბილისში, აეროდრომის დასახლების III ქუჩის ##11,13-ში არსებული მიწის ნაკვეთებისთვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა კ2=4.0.
განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი ამონაწერისა საკადასტრო გეგმის საფუძველზე ირკვევა, რომ მოხდა #01.19.36.002.046, #01.19.36.002.047 მიწის ნაკვეთების გაერთიანება. რის შედეგადაც შეიცვალა მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, ფართობი და საკადასტრო კოდი.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2933397 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 20 მაისის N2317 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ახალი საკადასტრო კოდის დაფიქსირების მიზნით.
ვინაიდან, ქალაქ თბილისის მერის განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხი საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის №01.011817925 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 20 მაისის N2317 ბრძანებაში და ა) სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონი, აეროდრომის დასახლება, I ქ. მე–2 გას. N7–ის მომიჯნავედ/ აეროდრომის დასახლება, III ქუჩა, N11/აეროდრომის დასახლება მე–3 ქ. N13/ აეროდრომის დასახლება მე–3 ქ. N13ა / აეროდრომის დასახლება, I ქ. მე–2 გასასვლელი N7-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.002.055) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“;
ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდაშემდეგი რედაქციით: „1.ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონი, აეროდრომის დასახლება, I ქ. მე–2 გას. N7–ის მომიჯნავედ/ აეროდრომის დასახლება, III ქუჩა, N11/აეროდრომის დასახლება მე–3 ქ. N13/აეროდრომის დასახლება მე–3 ქ. N13 ა/ აეროდრომის დასახლება, I ქ. მე–2 გასასვლელი N7-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: N01.19.36.002.055) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ-2=4.0“
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: დაფიქსირდეს ახალი საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.19.36.002.055 ფართობი 1027 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #892018022472; რეგისტრაციის თარიღი 16/01/2018წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #892018022472; რეგისტრაციის თარიღი 16/01/2018 წ.);

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 28 ივნისის ბ01.011817925 ბრძანება;

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 14 ნოემბრის №2933397 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.